პროექტი: „უკეთესი მომავლისთვის“
21/04/2011– 21/07/2011 განხორციელების ვადები.

პროექტის აღწერა:
სამწუხაროდ,ჩვენს რეალობაში არსებობენ ჯგუფები,რომლებიც გარიყულები არიან საზოგადოებისგან:ეროვნული უმცირესობები,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები,უსახლკარო და მეურვის გარეშე დარჩენილი მოზარდები.მათ შორის არიან ჩვენი პროექტის ბენეფიციერები–აბასთუმნის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების ორმოცი აღსაზრდელი მოკლებულია საზოგადოების ყურადღებასა და თანადგომას. გარემოში, სადაც ისინი იზრდებიან არანაირი პირობა არ არის შექმნილი მოზარდების განვითარებისთვის, გართობისა და დასვენებისთვის.აღსაზრდელები საჭიროებენ მორალურ და მატერიალურ დახმარებას.ისინი ვერ აღიქვამენ თავს საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად.
  პროექტზე მომუშავე ჯგუფის მიერ ჩატარებული სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ქ.ზუგდიდში 147 გამოკითხული მოქალაქიდან, 121-ს არ გააჩნდა არანაირი ინფორმაცია აბასთუმნის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების შესახებ, ხოლო გამოკითხულთაგან 117-მა ადამიანმა გამოთქვა დახმარების სურვილი ჩვენ მიერ მიწოდებული ინფორმაციის შემდეგ.

პრობლემის აღწერა :
პირველი ორი კვირის განმავლობაში მარიამ შენგელიას ხელმძღვანელობით ქართულ–ფრანგული და სსც სკოლის 12 მოსწავლე, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი პროექტის განხორციელებაში, თავიანთ და ასევე ქ. ზუგდიდის 5 საჯარო სკოლაში გაავრცელებენ ინფორმაციას პროექტის შესახებ და უზრუნველყოფენ ამ სკოლების 300–მდე მოსწავლისმო ბილიზებას „დახმარება თანატოლს“ აქციაში მონაწილეობის მისაღებად. აქცია გულისხმობს აბასთუმნის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების მოსწავლეთათვის საჭიროებისამებრ სხვადასხვა ნივთების შეგროვებას და მათთვის ყურადღების ნიშნად საჩუქრად გადაცემას.
.მესამე კვირის ბოლოს შ.პ.ს „ტრანსპორტი“–ს მიერ გამოყოფილი ავტობუსით პროექტის 40 მონაწილე ესტუმრება ახალაბასთუმნის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებას და საჩუქრების სახით გადასცემენ „დახმარება თანატოლს“ აქციის ფარგლებში შეგროვებულ ნივთებს (ტანსაცმელს, ფეხსაცმელს და სხვ. სულ 300მდე სხვადასხვა ნივთი) იმავე დღეს ერთობლივად ნახავენ მხატვრულ ფილმს „სინდისი“, რომლის სიუჟეტი აგებულია ვაჟა–ფშაველას პოემების მიხედვით და მისი ძირითადი თემაა ტოლერანტობა.ფილმის ჩვენებას ტექნიკურად უზრუნველყოფს ასოციაცია "ათინათი"(პროექტორი,ეკრანი,კომპიუტერი)
.მეოთხე კვირას ეკა ფიფია ორგანიზებას გაუწევს აბასთუმნის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების 40 მოსწავლის ტრანსპორტირებას ზუგდიდში, სადაც მოზარდები დაათვალიერებენ მხატვარ–კერამიკოს რობერტ აბსანძის კერამიკულ საამქროს. ისინი ნახავენ კერამიკული ნაკეთობის დამზადების სრულ პროცესს: თიხის მოზელვა, ნაკეთობის გამოყვანა, მოხატვა და გამოწვა. საამქროში მათ ჩაუტარდებათ მასტერ კლასი ძერწვაში. დღის მეორე ნახევარში მოეწყობა ლანჩი, რის შემდეგაც მოზარდები ეწვევიან დადიანების სასახლეთა ისტორიულ–არქიტექტურულ მუზეუმს დაათვალიერებენ ეთნოგრაფიულ ექსპონატებს,გაეცნობიან კუთხის ისტორიას,რაც ხელს შეუწყობს მათი ინფორმირებულობას და თვითშეფასების ამაღლებას. იგივე ავტობუსით, დღის ბოლოს მოზარდები დაბრუნდებიან აბასთუმნის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში.
.მეხუთე კვირას სსც და ქართულ–ფრანგული სკოლების კლუბების ლიდერები ესტუმრებიან ბავშვთა სახლს ბატონ რობერტ აბსანძესთან ერთად, სადაც ის კიდევ ერთხელ ჩაუტარებს აღსაზრდელებს ძერწვისა და ხატვის გაკვეთილს.ეს გაკვეთილები ჩატარდება სულ 6–ჯერ,რის შემდეგაც მოზარდებს მიეცემათ ერთი თვის ვადა და გადაეცემათ საჭირო რესურსები: ფუნჯები, ფანქრები, საძერწი, სახატავი ფურცლები, საღებავები და სხვ. რათა შექმნან საგამოფენო ნამუშევრები თემაზე "მრავალფეროვნება", რომლებითაც შემდგომ მოეწყობა საქველმოქმედო გამოფენა–გაყიდვა. ნიმუშებს გაუკეთდება მცირე ზომის ეტიკეტი, რომელზეც აღნიშნული იქნება, რომ ეს ნივთი ქველმოქმედებითაა შეძენილი,რაც მოტივაციას გაუზრდის მოქალაქეებს შეიძინონ მოზარდების ნამუშევრები.
.მერვე კვირას აბასთუმნის დაწესებულების 40 მოზარდი ეწვევა ქ.ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს, სადაც 300–მდე მოწვეულ სტუმართან ერთად დაესწრებიან საქველმოქმედო სპექტაკლს „სტუმარ–მასპინძელი“.სტუმრებისთვის დამზადდება სპეციალური მოსაწვევები.მოწვეულნი იქნებიან:პროექტში ჩართული სკოლების მოსწავლეები,მასწავლებლები და მშობლები,თვითმმართველობისა და ბიზნესების წარმომადგენლები.სპექტაკლის დასრულების შემდეგ გაიმართება დისკუსია სიუჟეტის

ირგვლივ,რომელსაც ფასილიტაციას გაუწევს სსც სკოლის,ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნესტან ფიფია.დისკუსიის დასრულების შემდეგ აბასთუმნის დაწესებულების მოსწავლეებს მიეცემათ საშიანო დავალება თემაზე„საუკეთესო შთაბეჭდილება“.მონაწილეები დაწერენ ჩანახატებს, რომლებსაც ერთი კვირის შემდეგ შეაფასებს ქართულ-ფრანგული სკოლის,სსც და აბასთუმნის დაწესებულების 3მასწავლებლებისაგან შემდგარი ჟიური.აქვე,თეატრის ფოიეში გაიმართება საქველმოქმედო აქცია „უკეთესი მომავლისთვის“, სადაც გამოიფინება მოზარდთა ნამუშევრები. დაიდგმება სპეციალურად,ორგმინისგან დამზადებული გამჭვირვალე შესაწირი ყუთები.სპექტაკლზე მოსულ საზოგადოებას მიეცემა საშუალება შეიძინოს ნამუშევრები და საკუთარი ნება–სურვილით გაიღოს შემოწირულობა აბასთუმნის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების მოსწავლეთათვის. აქციაზე შეგროვებული თანხა გადაეცემა აბასთუმნის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებას.აბასთუმნის დაწესებულების მოსწავლეების ტრასპორტირება უზრუნველყოფილი იქნება ავტობუსით.

.მეთორმეტე კვირას დასკვნითი ღონისძიების ჩასატარებლად ქართულ–ფრანგული და სსც სკოლების 30 მოსწავლე და 10 მასწავლებელი ესტუმრება აბასთუმნის დაწესებულებას. ჩატარდება კონკურსი „საუკეთესო შთაბეჭდილება“,რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ აბასთუმნის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების 20 და პროექტის განხორციელებაში ჩართული სკოლების 20 მოსწავლე.ისინი გააკეთებენ ჩანახატებს პროექტში მიღებულ შთაბეჭდილებებზე.მონაწილეები დაიყოფიან ასაკობრივად მე-5 კლასიდან მე–7 კლასის ჩათვლით,მე-8 კლასიდან მე-9კლასის ჩათვლით , მე-10 დან მე-12 კლასის ჩათვლით.ჟიური გამოავლენს თითო გამარჯვებულს 3 ასაკობრივი კატეგორიიდან და გადასცემს პრიზებს.

რა ღონისძიებები გატარდება აღნიშნული მიზნის მისაღწევად:
პირველი ორი კვირის განმავლობაში მარიამ შენგელიას ხელმძღვანელობით ქართულ–ფრანგული და სსც სკოლის 12 მოსწავლე, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი პროექტის განხორციელებაში, თავიანთ და ასევე ქ. ზუგდიდის 5 საჯარო სკოლაში გაავრცელებენ ინფორმაციას პროექტის შესახებ და უზრუნველყოფენ ამ სკოლების 300–მდე მოსწავლისმო ბილიზებას „დახმარება თანატოლს“ აქციაში მონაწილეობის მისაღებად. აქცია გულისხმობს აბასთუმნის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების მოსწავლეთათვის საჭიროებისამებრ სხვადასხვა ნივთების შეგროვებას და მათთვის ყურადღების ნიშნად საჩუქრად გადაცემას.
.მესამე კვირის ბოლოს შ.პ.ს „ტრანსპორტი“–ს მიერ გამოყოფილი ავტობუსით პროექტის 40 მონაწილე ესტუმრება ახალაბასთუმნის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებას და საჩუქრების სახით გადასცემენ „დახმარება თანატოლს“ აქციის ფარგლებში შეგროვებულ ნივთებს (ტანსაცმელს, ფეხსაცმელს და სხვ. სულ 300მდე სხვადასხვა ნივთი) იმავე დღეს ერთობლივად ნახავენ მხატვრულ ფილმს „სინდისი“, რომლის სიუჟეტი აგებულია ვაჟა–ფშაველას პოემების მიხედვით და მისი ძირითადი თემაა ტოლერანტობა.ფილმის ჩვენებას ტექნიკურად უზრუნველყოფს ასოციაცია "ათინათი"(პროექტორი,ეკრანი,კომპიუტერი)
.მეოთხე კვირას ეკა ფიფია ორგანიზებას გაუწევს აბასთუმნის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების 40 მოსწავლის ტრანსპორტირებას ზუგდიდში, სადაც მოზარდები დაათვალიერებენ მხატვარ–კერამიკოს რობერტ აბსანძის კერამიკულ საამქროს. ისინი ნახავენ კერამიკული ნაკეთობის დამზადების სრულ პროცესს: თიხის მოზელვა, ნაკეთობის გამოყვანა, მოხატვა და გამოწვა. საამქროში მათ ჩაუტარდებათ მასტერ კლასი ძერწვაში. დღის მეორე ნახევარში მოეწყობა ლანჩი, რის შემდეგაც მოზარდები ეწვევიან დადიანების სასახლეთა ისტორიულ–არქიტექტურულ მუზეუმს დაათვალიერებენ ეთნოგრაფიულ ექსპონატებს,გაეცნობიან კუთხის ისტორიას,რაც ხელს შეუწყობს მათი ინფორმირებულობას და თვითშეფასების ამაღლებას. იგივე ავტობუსით, დღის ბოლოს მოზარდები დაბრუნდებიან აბასთუმნის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში.
.მეხუთე კვირას სსც და ქართულ–ფრანგული სკოლების კლუბების ლიდერები ესტუმრებიან ბავშვთა სახლს ბატონ რობერტ აბსანძესთან ერთად, სადაც ის კიდევ ერთხელ ჩაუტარებს აღსაზრდელებს ძერწვისა და ხატვის გაკვეთილს.ეს გაკვეთილები ჩატარდება სულ 6–ჯერ,რის შემდეგაც მოზარდებს მიეცემათ ერთი თვის ვადა და გადაეცემათ საჭირო რესურსები: ფუნჯები, ფანქრები, საძერწი, სახატავი ფურცლები, საღებავები და სხვ. რათა შექმნან საგამოფენო ნამუშევრები თემაზე "მრავალფეროვნება", რომლებითაც შემდგომ მოეწყობა საქველმოქმედო გამოფენა–გაყიდვა. ნიმუშებს გაუკეთდება მცირე ზომის ეტიკეტი, რომელზეც აღნიშნული იქნება, რომ ეს ნივთი ქველმოქმედებითაა შეძენილი,რაც მოტივაციას გაუზრდის მოქალაქეებს შეიძინონ მოზარდების ნამუშევრები.

.მერვე კვირას აბასთუმნის დაწესებულების 40 მოზარდი ეწვევა ქ.ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს, სადაც 300–მდე მოწვეულ სტუმართან ერთად დაესწრებიან საქველმოქმედო სპექტაკლს „სტუმარ–მასპინძელი“.სტუმრებისთვის დამზადდება სპეციალური მოსაწვევები.მოწვეულნი იქნებიან:პროექტში ჩართული სკოლების მოსწავლეები,მასწავლებლები და მშობლები,თვითმმართველობისა და ბიზნესების წარმომადგენლები.სპექტაკლის დასრულების შემდეგ გაიმართება დისკუსია სიუჟეტის ირგვლივ,რომელსაც ფასილიტაციას გაუწევს სსც სკოლის,ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნესტან ფიფია.დისკუსიის დასრულების შემდეგ აბასთუმნის დაწესებულების მოსწავლეებს მიეცემათ საშიანო დავალება თემაზე„საუკეთესო შთაბეჭდილება“.მონაწილეები დაწერენ ჩანახატებს, რომლებსაც ერთი კვირის შემდეგ შეაფასებს ქართულ-ფრანგული სკოლის,სსც და აბასთუმნის დაწესებულების 3მასწავლებლებისაგან შემდგარი ჟიური.აქვე,თეატრის ფოიეში გაიმართება საქველმოქმედო აქცია „უკეთესი მომავლისთვის“, სადაც გამოიფინება მოზარდთა ნამუშევრები. დაიდგმება სპეციალურად,ორგმინისგან დამზადებული გამჭვირვალე შესაწირი ყუთები.სპექტაკლზე მოსულ საზოგადოებას მიეცემა საშუალება შეიძინოს ნამუშევრები და საკუთარი ნება–სურვილით გაიღოს შემოწირულობა აბასთუმნის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების მოსწავლეთათვის. აქციაზე შეგროვებული თანხა გადაეცემა აბასთუმნის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებას.აბასთუმნის დაწესებულების მოსწავლეების ტრასპორტირება უზრუნველყოფილი იქნება ავტობუსით.

.მეთორმეტე კვირას დასკვნითი ღონისძიების ჩასატარებლად ქართულ–ფრანგული და სსც სკოლების 30 მოსწავლე და 10 მასწავლებელი ესტუმრება აბასთუმნის დაწესებულებას. ჩატარდება კონკურსი „საუკეთესო შთაბეჭდილება“,რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ აბასთუმნის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების 20 და პროექტის განხორციელებაში ჩართული სკოლების 20 მოსწავლე.ისინი გააკეთებენ ჩანახატებს პროექტში მიღებულ შთაბეჭდილებებზე.მონაწილეები დაიყოფიან ასაკობრივად მე-5 კლასიდან მე–7 კლასის ჩათვლით,მე-8 კლასიდან მე-9კლასის ჩათვლით , მე-10 დან მე-12 კლასის ჩათვლით.ჟიური გამოავლენს თითო გამარჯვებულს 3 ასაკობრივი კატეგორიიდან და გადასცემს პრიზებს.
ბენეფიციარები:

აბასთუმნის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების აღსაზრდელები,მასწავლებლები და პერსონალი. პროექტის მონაწილეები.საზოგადოების წევრები
ბენეფიციარების რაოდენობები ცალ–ცალკე:

აბასთუმნის სააღმზრდელო დაწესებულებაში მცხოვრები 40 მოზარდი,15 მასწავლებელი და 11 პერსონალი. ქართულ-ფრანგული და სსც სკოლების 12 მოსწავლე.პროქტით გათვალისწინებულ ღონისძიებებში მონაწილე სხვადასხვა სკოლის 500მდე მოსწავლე.10 თანამონაწილე. საქველმოქედო სპექტაკლსა და საღამოზე მოწვეული 200 სტუმარი.

რისკები:
. სკოლის მოსწავლეების უპასუხისმგებლობა მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულების მიმართ.
. საზოგადოების გულგრილი დამოკიდებულება პროექტის იდეის მიმართ.

პროექტის მდგრადობა:

საზოგადოება მიიღებს ინფორმაციასა და მაგალითს ტოლერანტობაზე,რაც იქნება გადამდები საზოგადოების სხვა წევრებზე და მათში გააღვიძებს დახმარების სურვილს,რათა ხელი შეუწყონ საზოგადოებისაგან გარიყული ადამიანების საზოგადოებაში დაბრუნებას.